სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/117

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხელმძღვანელის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 17 ივლისის სხდომის №2 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის ინგლისურენოვნი საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“, ხელმძღვანელები - ასოცირებული პროფესორი თამარ ლოლაძე, მოწვეული პროფესორი თამაზ ჯალიაშვილი.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**